№ 102, მაისის 18, შაბათი. 1866—1885 მაისის 18, შაბათი. № 102.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრულიად გასასყიდელ გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ.—ორცხელ [illegible] ებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია [illegible] ებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ვისაც დღემდე გაზეთის ხვედრი ფული არ შემოუტანია, რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს საჩქაროდ შემოიტანონ, თუ არა ჭსურთ, რომ გაზეთის გაგზავნა მოესპოთ.

ადრესის გამოცვლისათვის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ შვიდი შაური წარმოადგინონ ხოლმე.

შინაური ქრონიკა

ხვალ, კვირას, მაისის 19-ს, სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში (ძუკია, ნიკოლოზის ქ., ჩითახოვის სახლი) დანიშნულია საზოგადო წლიური კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.“ კრებამ უნდა მოისმინოს წარსულის წლის ანგარიში, მოსალოდნელი შემოსავალ-გასავლის ანგარიში მომავალის წლისა და ახალი წევრები ამოირჩიოს, როგორც საზოგადოებისა, ისე გამგეობის წევრნი. წრეულს ყველანი უნდა გამოიცვალნენ და, იმედია, რომ ცალკე ეს გარემოება, ცალკე ის თანაგრძნობა, რომელიც წრეულს საქართველოს ყოველის კუთხიდამ აღმოუჩინეს საზოგადოებას, ბევრს წელს მოიყვანს კრებაში და უკანასკნელს გადასადებლად არ გაჰხდის.

აი, კიდევ ერთი შესანიშნავი ტელეგრამა, რომელიც თ. Ив. მუხრან-ბატონს მოსვლია ქუთაისიდამ:

„ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, როგორც ნაწილი სრულიად საქართველოის თავად-აზნაურობისა, აცხადებს ჩვენის შუამავლობით სიხარულს თქვენის ამორჩევის გამო და იმედი აქვს, რომ თქვენ არც მას მოაკლებთ თქვენს შემწეობასა და სასარგებლო რჩევას. ბუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი პოდპოლკოვნიკი თავ. Алмасხან ნიჟარაძე, ოზურგეთის მარშალი თავ. ვარლამ Ерისთავი, შორაპნის მარშალი უგანათლებულესი თავადი ბაგრატიონი; რაჭის მარშალი თავ. წულუკიძე.“

მაისის 16-ს აკლიმატიზაციურ ბაღში გამოსცადეს ბ.ბ. Уაზიბეგის და სამოილოვიჩისაგან გაკეთებული სანიავებელი მაშინა. სამწუხაროდ ცუდი ამინდის გამო ხალხი ძალიან ცოტა დეესწრო, თითონ სამეურნეო საზოგადოებისაგანაც კი არავინ იყო. ამ მაშინას ის დანიშნულება აქვს, რომ ჩვენ მხვნელ-მთესველ ხალხს ყოველ დროს დაუბრკოლებლივ შეეძლოს გალეწილის განიავება, რომ იგი აღარ შაჰყურებდეს ნიავსა: აბა მოვა, თუ არაო! მაშინას მაღლა აქვს წისქვილივით ხვიმირა, რომელშიაც უნდა ჩაიყაროს კალოზედ გალეწილი, ისევ ბზიდან გამოსაყვანი პური. ხვიმირას გვერდზედ ცოტა დაბლა გამართულია პატარა ფრთიანი ჩარხი. Дაატრიალებთ ამ ჩარხს თუ არა, იგი თავისი ფრთებით ააყენებს ნიავს და ეს ნიავი ანიავებს ხვიმირიდან თავისთავად ჩამოსულს ბზესა და ხორბალსა. ბზე ნიავს მიაქვს და ხორბალი კი იქვე ცვივა თუთიას (ცინკის) ცხრილზედ; ამ ცხრილის ქვეშ კიდევ არის გამართული სამი უფრო წმინდა ცხრილი, რომელნიც დაგეზებულნი არიან ჩარხის მხარეზედ. როცა ჩარხი ტრიალებს, ეს ცხრილებიც ოთხივე მოძრაობაში მოდის, ხორბალი ლამაზად იცხრილება, ჩალა ბუღა, ჯოლთი ცხრილებზედ რჩება და ხორბალი კი გადის ორნაირად: წვრილი, მშიერი მარცვალი ქვეშ გაჰდის ცხრილებს და მსხვილი მარცვალი კი გადის ცალკე. ამ მაშინით განიავებულს პურს მეორედ გამოხვავება კი აღარა და გაცხრილვა კი მოუნდება, რადგანაც გამოჰდევს მიწა, კენჭები და კიდევ სხვა ვაი-ვაგლახი. სანიავებლით ერთი კაცი ხუთი კაცის ოდენას გაანიავებს ერთსა და იმავე დროსა; ფასი მაშინისა ცხრა თუმნამდეა. გავრცელდება თუ არა ეს სანიავებელი, ამისი თქმა წინდა-წინვე არ შეიძლება.

რაჭის მაზრის სოფ. ხოლევიდამ გვწერენ, რომ იქაური აზნაური ვ. Ж—ძე უწყალოდ ანგრევს წარსულის ისტორიით შესანიშნავს დიდს ციხეს, ნანგრევის ქვებით თავის ცხენებისათვის აშენებს თაელასაო და კაცი არ ირის, რომ ამ ვაჟბატონს ასეთი

სამეგრელოდ გუშინ

რუსულს ადმინისტრაციასთან ერთად სამეგრელოში შევიდენ ლინეინის მთელი ბატალიონი და სამასი თერგის ყაზახე.

მაზრის უფროსებს დიდი უფლება ჰქონდათ მინიჭებული: ყველა მათგანს ჰყავდა ასი ყაზახი და თუ საჭიროება მოითხოვდა შეეძლოთ სხვა ჯარიც დაებარებინათ. მხოლოდ უფლებათა შემწეობით და პი-ადის ენერგიით შეიძლებოდა ქვეყნის დამშვიდება. სამეგრელოს დაბურულს ტყეებში მოსიარულე აჯანყებული გლეხების გაფანტვა, მათი დაბრუნება სოფლებში და თავის ბატონებთან შერიგება ადვილი საქმე არ იყო. რომ უფრო წარმატებით გვემოქმედნა, ჩვენ გავიცანით და დავიახლოვეთ აჯანყებულთა მოთავენი, რომ მათის შემწეობით გვქონოდა გავლენა როგორც აჯანყებულებზედ, ისე საზოგადოდ მთლად გლეხ-კაცობაზედ.

მოთავენი სამნი იყენენ: ბოჩა Тოდუა, მართალი Тოდუა და მიქავა; მართლაც ამათ დიდი გავლენა ჰქონდათ გლეხ-კაცობაზედ.

ბოჩა Тოდუა, აზნაური ქორძაიას ყმა, ორმოც-და-ათი წლისა, მაღალი და წამოსადეგი კაცი იყო; საწვრილმანოთი ვაჭრობდა და თავის ბატონს ხარჯს აძლევდა; იგი გახდა თავის სოფლის აჯანყებული გლეხების მოთავედ და ისე იქცეოდა, როგორც გენერალი; თან ახლდენ ადიუტანტები, გზირები და მწერალი, რომელიც ბრძანებათ უწერდა; დადიოდა მთელის ამალით, ხანდისხან ტრახტრევანითაც დაჰყავდათ. მასთან მიდიოდენ გლეხები საჩივლელად და იგიც სამართალს უჭრიდა, რომელიც მაშინვე აღსრულებაში მოჰყავდათ. ბოჩა სასტიკი კაცი იყო და წესიერება უყვარდა. Тვით თავად-აზნაურობაც-კი მიდიოდენ მასთან საჩივლელად და თუ გლეხი სტყუოდა თავის დღეში არ გაამართლებდა. ვაი, იმას ვინც მის ბძანებას არ აასრულებდა. ბოჩა თავის კაცებით ესხმებოდა თავს და შეუბრალებლად არბევიდა.

საზოგადოდ ბოჩა ბოროტი კაცი იყო, მაგრამ შორს მხედველობა არა ჰქონდა და მედიდურის ქცევით იძენდა ხალხის პატივის-ცემას.

სულ სხვა ნაირი კაცი იყო მართალი-Тოდუა. მართალი საკუთარი სახელი არ იყო, მან ეს სახელი სიმართლის მიმდევრობით დაიმსახურა. იგი იყო სოფ. სალხინოდამ და თვით მთავრის ყმა. ხის ჭურჭელს აკეთებდა და მითი ცხოვრობდა. ღვთისმოყვარე, მშრომელი და ხან'ში შესული Тოდუა (ესეც 50 წლისა იყო) თავის სოფლის გლეხებისაგან პატივცემული იყო და როდესაც გლეხები აჯანყდენ, იგი ამოირჩიეს წინამძღოლად და სთხოვეს ყოველივე სიმართლე დედოფლისათვის შეეტყობინებინა. მართალმა-Тოდუამ საზოგადო თხოვნაზედ უარი ვერა სთქვა და რაც ხანი წინამძღოლად იყო სულ იმას ცდილობდა, რომ გლეხებს სასტიკად არ ემოქმედნათ. როდესაც ჩვენ იგი მოვიწვიეთ, მაშინვე მოვიდა და დაგვმორჩილდა. მართლაც ეს ისეთი პატიოსანი და მართალი კაცი იყო, რომ მის სიტყვას ყველა ერწმუნებოდა. აჯანყებულები მას ტყე-და-ტყე არ დაუდიოდა, თავის სახლში იჯდა, ძველებურად ხის ჭურჭელს სთლიდა და გლეხების წინაშე მხოლოდ საჭირო საქმისათვის გამოცხადდებოდა ხოლმე.

ამ სამს კაცს, რომელნიც თავის ნებით მოგვეცენ ხელში, დავუახლოვდით ჩვენ და მათგან გავიგეთ დაწერილებით აჯანყების მიზეზი. ჩვენ არ ვუმალავდით მათ, რომ იგინი, როგორც მოთავენი, პასუხის მგებელნი იყვნენ სამართლის წინაშე; მაგრამ ამასთანავე იმასაც ვეუბნებოდით, რომ დანაშაული ბევრად შეუმცირდებოდათ, თუ აჯანყებულთ დამშვიდებაში დაგვეხმარებოდენ. Уოველივე შეგვისრულდა, რასაც-კი მათგან გამოველოდით. შეევედით თუ არა სამეგრელოში აჯანყების გავრცელებას ბოლო მოელო; მაგრამ ვინც აჯანყებულნი იყენენ საბოლოოდ მათი დამშვიდება ადვილი საქმე არ იყო. რამდენსამე თვეს მაზრის უფროსები ცხენიდამ არ გადმოსხტარან, სოფელსოფელ დადიოდენ და ხალხს ამშვიდებდენ...

Тქმა არ უნდა, რომ რუსეთის ბატონ-ყმობაც საძაგლობა იყო, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნე'ში, ჩემს ხსოვნაში, აღარ მახსოვს, რომ რუსეთში ისეთი უკანონო საქმეები მომხდარიყოს, როგორც ამ დროს სამეგრელოში ხდებოდა. აქ გლეხ-კაცებიც-კი ფულით ყიდულობდენ ყმებს. Ერთის სიტყვით კაცსა ჰყიდდნენ და ყიდულობდენ ყველანი, ვისაც-კი ფული ჰქონდა.

Тს არც გასაკვირველი იყო? ხალხს ჯერ ისევ კარგად ახსოვდა ის დრო, როდესაც Ოსმალეთი ჰფლობდა მას. Маშინ Დადიანი სულთნის ხარაჯას ახალ-გაზდა ბიჭებით და ქალებით ხდილობდა; ვეზირისაგან მას ხშირად მისდიოდა წერილები, ანუ უკედ ვსთქვათ რეცეპტები, რომელნიც მას უნდა შეესრულებინა. ამ წერილებში აწერილი იყო ბიჭს ან ქალს როგორი ტანი უნდა ჰქონოდა, თვალები, პირი, თმა და სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილები ფადი-შაჰის გემოვნების დასატკბობლად. სპარსეთის შაჰი უფრო მეგობრობით მოსწერდა ხოლმე ბიჭების გაგზავნას, რადგანაც ეს გარყვნილება სპარსელებში უფროა გავრცელებული, სანამ Ოსმალებში. Дადიანი ნებითა და უნებურად ასრულებდა შაჰების თხოვნას, სანამ 1783 წელს ჭუჩუკ-ქაინაჯინის მორიგებამ არ

ბარბაროსული საქციელი დაუმალოსო.

ბათუმიდამ გვწერენ: რომ აქაურ ქართველებს თამარის ციხესთან გაუმართავთ მაისის პირველს დღეობა, რომელიც ძალიან მხიარულად ჩაივლიდა, რომ ერთს შეზარხოშებულს და ოტკით გაქლენთილს ბოჩკის-მკეთებელს არ დაერღვია საზოგადო მხიარულება და ჩხუბი არ გაემართა ერთს მეგრელთანაო. ორავე მოჩხუბართ წარმოესარჩლებიან ამხანაგები და ჩხუბი საზოგადო შექმნილა. სამწუხარო ის არისო, რომ ზოგიერთებმა ქვას ძალა დაატანეს და ამ ჩხუბს სრულიად სხვა მნიშვნელობა მიაწერესო.

იქიდამვე გვწერენ: ბათუმელმა ქართველმა საზოგადოებამ სთხოვა ცირკის მმართველს, რომელიც ამ ჟამად აქ არის, რომ იმან ერთი წარმოდგენა ცირკში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის სკოლის სასარგებლოდ გამართოსო. ცირკის მმართველი დაჰპირებია ამ თხოვნის შესრულებას.

ბათუმში, ომის ხმების გამო, ვაჭრობა ძალიან დაცემულა, მეტადრე ნავთისა.

მაისის 12-ს. თბილისის სამხედრო სავადმყოფოსთან გაიხსნა კავკასიის დათა მოწყალების საზოგადოება. საზოგადოებისთვის სავადმყოფოსთან აშენებულია ძალიან სანათიანი საკუთარი ერთსართულიანი სახლი შტატის 25 მოწყალების დათათვის, სახლს ბაღიცა აქვს ამ საზოგადოების დანიშნულება:—მოამზადოს მოწყალების დანი კავკასიის დანარჩენი სავადმყოფოებისათვის.

ახალციხიდამ იწერებიან, რომ აპრილის 25 ამ ქალაქის მეიდანზედ დაუწვამთ სომხური გაზეთი „ნორ-დარი“, რადგანაც იქაურს სომხის საზოგადოებას ეს გაზეთი „სამაგელი მიმართულების“ გაზეთად უცვნიათ. (Нов. Обоз.)

„მოსკოვის უწყებებში“ სწერია, რომ მაისის 8-სა მოსკოვში მისულან ვეზენბერგიდამ 300 ესტები და კავკასიისკენ წამოსულან დასასახლებლად.

ერთს ვენურ გაზეთში დაბეჭდილია ტელეგრამა სტამბოლიდან მას ზედ რომ ინგლისის ბათუმელ კონსულს მოასწრეს, როდესაც იგი ჰხატავდა ერთი გამაგრებული ადგილის პლანს კასპიის ზღვაზედ და დაატუსაღესო. (ნოვ. ობ.).

სიღნაღის მაზრაში ისევ გამოჩენილა ყვავილი. ს. ვეჯინში მომკვდარა ყვავილისაგან ორი ბავშვი; ერთს ამთვგან შარშან ნოემბერში აუცრესო ბავშვებს გარდა დიდებსაც ეურებს ყვავილიო. (კავკაზი).

„დროების“ კორესპონდენცია.

ფოთი, მაისის 12-ს. დღეს გიახელით ბათუმიდან რუსის ნაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოების გემით „ბაბუშკით“, მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს იმათს გემსაც და შიგ მოსამსახურეთაც. ბათუმიდამ ფოთამდის რვა საათი ვიარეთ. ჯერ ბათუმშივე, როდესაც დამოქნამ გაგვსინჯა ყველა პასაჟირები და დავბინავდით გემში, ცხრა საათზედ, ლუზის ჯაჭვი დაეხლართა სხვა გემის ჯაჭვებს და, ორი საათი ეწვალნენ; ძლივს გვეშველა გამოსვლა ბათუმიდან და ხუთი საათი საათი გზაში ვიარეთ; ფოთში სამს საათზედ მოვედით, მაგრამ ახლა აქ გამოჩნდა დამაბრკოლებელი მიზეზი. გემი მიადგა „ბუხტის“ კედელს, მაგრამ მგზავრები კი არ გაგვიშვეს. ვიკითხეთ მიზეზი, კაპიტანმა გვიპასუხა, მინამ დამოქნის ჩლენი არ მოვა, მინამ ვერ გაგიშვებთო. ამ ლაპარაკში მოვიდა დამოქნის ჩინოვნიკი უშაკოვი, გავეხარდა, გვეგონა გაგვიშვებდა, მაგრამ ამან სულ უარი გვითხრა გაშვებაზედ. ახლა ამას ვკითხეთ მიზეზი და ამან გვიპასუხა: მიზეზს მე რად მკითხავთ, ჰკითხეთ კაპიტანსაო, სწორედ ვერა გავიგეთ-რა: კაპიტანი დამოქნას აბრალებდა და დამოქნა კაპიტანს, და ჩვენ, მგზავრები კი ვიყავით დატყვევებული. წარმომიდგა თვალ-წინ ის სურათი, როდესაც გადასახლებული აფხაზები სათათრეთიდან სანდლებით დაბრუნდენ სამშობლო ქვეყანაში და დამოქნა ნაპირზედ არ უშვებდა,—ჩვენც ესე გახლდით ას სულზედ მეტი მგზავრი. ბოლოს გამოჩნდა ფაეტონი, რომლითაც მობრძანდენ, დამოქნის წევრი რეზუნოვი და ბლუმბოსკი, ახლა ამათ შევეკითხეთ, რა მიზეზით გაგვაჩერეს-თქო. [illegible] მე გთხოვთ ამ ურიგობაზედ საჩივარი განაცხადეთო: გაჩერება მგზავრებისა დამოქნის ბრალი არ არის, არამედ საგენტოსიო. გემი როდესაც გამოდის ბათუმიდან, იქაური აგენტი აცნობებს ფოთის აგენტს დეპეშით, და აგენტიც დამოქნას; ამით იცის დამოქნამ, გემი როდის მოვა და მიეგებებიან ხოლმე. დღეს დეპეშა აღარ დაუკრავთ, დავიწყებიათ. კარგი ყოფილა თქვენმა მზემ: იმათ დეპეშა დაავიწყდეთ და ჩვენ, პასაჟირები-კი უნდა გაჩერებული ვიყოთ ტყვეებივით. დრო არის ბოლო მოელოს ამდენს უწესოებას, მაგრამ, ვაი, შენს მტერს! რუსის ნაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოება, ფოთისათვის კარგს არაფერს იფიქრებს, თუ არ ცუდს, როგორც დაუძინებელი მტერი ფოთისა. აი, დასამტკიცებელი საბუთი: „რუსის ნაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოებამ“ კავკასიის რკინის-გზას პირობა შეუკრა, რომ ოღონდ ფოთზედ საქონელი ნუ გაიგზავნება და საქონელს თუნდ სულ უქირაოდ ჩააბარებს პატრონებს 500 და 800 ვერსის მანძილზედ. ამას ბათუმის აგენტი თუ ცდილობს, რადგან პროცენტი მეტი ერგება, ფოთის აგენტიც რომ ეცადოს, იმისათვისაც კარგი იქნება და ფოთისათვისაც, მაგრამ ჯერ ეს მას არ მოჰგონებია.

საკვირველია, რადა მტრობს ზემო-

განთავისუფლა იგი ამ საშინელის ხარჯისაგან, მაგრამ ბიჭების გაყიდვა ოსმალეთში ჩუმ-ჩუმად მაინც კიდევ ხდებოდა, თუმცა მთავარი დავითი საშინელი წინააღმდეგი იყო ამისი.

ჩვენ ყველანი გამოუცდელნი ვიყავით ამ ქვეყანაში და თუმცა წინად ორ-წელიწად-ნახევარი გავატარე სამეგრელოში, როგორც მთავარის ნიკოლოზის მასწავლებელმა, მაგრამ მაინც კარგად არა მქონდა შესწავლილი ეს მხარე, რადგანაც ჩემი ცოდნა ამ ქვეყნისა სასახლის კაცების ნალაპარაკევზედ მქონდა დამყარებული. სოციალური მდგომარეობა სამეგრელოისა სრულიად არ ვიცოდი და ამისათვის მეცა და ჩემი ამხანაგებიც ერთგულად შევუდექით ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლას. ეს ძნელი ტვირთი იყო ჩვენთვის, მაგრამ მალე დაგვიმსუბუქდა იმის გამო, რომ გამგებელის ნ. პ. კოლიუბიაკინისა და ჩვენს შორის მტკიცე კავშირი სუფევდა; ყოველივე ჩვენი ნაბიჯი, ყოველივე ჩვენი მოქმედება ეთანხმებოდა იმ პროგრამას, რომელიც ჩვენგანვე იყო შედგენილი; კოლიუბიაკინი ძალის ძალად არაფერს გვაკისრინებდა და ამისთანა ერთი-ერთმანეთის თანახმა მოქმედებით ბევრი სარგებლობა მოვიტანეთ. რაკი ჩვენ ვიყავით შუამავალნი თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის, უნდა აღგვედგინა ბატონის უფლება, მაგრამ გლეხებისთვისაც არ უნდა გვეწყენინებინა. ვასრულებდით თავად-აზნაურობის სამართლიანს თხოვნას, მაგრამ არც გლეხებს ვუკრძალავდით მათს ბოროტ-მოქმედებაზედ საჩივარს. ჩვენს ადმინისტრაციას, ეკატერინე II ბრძანების ძალით ნება არა ჰქონდა თავად აზნაურობაზედ გლეხების საჩივარი მიელო და არჩევდენ თავად აზნაურთა ბოროტ-მოქმედებას მხოლოდ მაზრის და გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი.

სამეგრელოში სრულიად არ იყვნენ ეს დაწესებულებანი; თავად-აზნაურთა უფლებანი ჯერ არ იყვნენ განსაზღვრულნი, ასე რომ ყოველისფერი ოლქის უფროსს ეკითხებოდა. ოლქის უფროსი იყო ადმინისტრატორიც, სასამართლო-პოლიციაც და თითქოს თავად-აზნაურთა წინამძღოლიც; თვით პრაქტიკამ მიანიჭა მას ასეთი ვრცელი უფლება.

ჩვენ და სასიხარულოდ ჩვენი მოქმედების ღვაწლი მალე დავინახეთ: გლეხები ერთგულად შეუდგენ დატოვებულის მამულების მოვლას. მინდორზედ გამოჩნდენ კაცები და ქალები და ჩვეულებისა-მებრ გაისმა მუშური სიმღერა. მუშაობა გაჩაღდა და ამასთანავე დაიწყო მამულების შესახებ დავი-დარაბა, რომელიც ჩხუბამდის მიდიოდა. ჩვენ ყველგან მივდიოდით საჩქაროდ და მშვიდობიანობას ვამყარებდით. საუბედუროდ ჩვენს დავი-დარაბას ერთი ჭირიც მოემატა: საქონლის მოპარვა, განსაკუთრებით ცხენებისა, რომელიც მეგრელის თვისებას შეადგენს. საქართველოში მეგრელზედ ანდაზაც არის გამოთქმული, რომ როდესაც იგი სამოთხეში შევიდა-იქაც ჯორ-ცხენა მოპარა ნიკოლოზ სასწაულთ მომქმედსაო. ცხენების პარვა გლეხების აჯანყების დროსაც არ შემცირებულა. ცხენების პარვას ყველა წოდება მისდევდა; რომ წინააღმდეგობა გაგვეწია ამ სენისათვის, ჩვენთვის საჭირო იყო დაახლოვებით შეგვესწავლა ცხენების პარვის მიზეზნი და ეს ჩვენგან ბევრს დროსა თხოულობდა, მინამდის კი პასუხის გებაში ვაძლევდით იმ სოფლებს, რომლებშიაც ნაპარავი საქონლის კვალი აღმოჩნდებოდა. მათ ვახდევინებდით მოპარული საქონლის ფასს და ვაძლევდით უფლებას ქურდები ეპოვნათ და ჩვენთან წარმოედგინათ დასამტკიცებელის საბუთებით. სამეგრელოს სოფლებში ძნელია ქურდების პოვნა: ყველა კომლი გაცალკევებული ცხოვრობს, თავის კარმიდამოს მაღალს ღობეს ავლებს და ვაზებსა და ხეებში არის შთანთქმული. სოფელი დიდს მანძილზედ გაშენებული და მის ბილიკებზედ მხოლოდ ადგილობრივს მცხოვრებს არ აერევა გზა. დიუკრუასისაგან შედგენილის დებულებით ყველა სოფლის გლეხებს თავიანთ შორის მამასახლისი უნდა ამოერჩიათ და იგი შეადგენდა სოფლის პოლიციას; მაგრამ ეს დებულება მაშინვე უვარგისი გამოდგა. ხალხი ისე შეწუხებული იყო, რომ თავის საქმეების მოვლის თავი აღარ ჰქონდა; მამასახლისებს არავინ უგონებდა, არც თავად-აზნაურობა და არც გლეხობა, რისა-გამოც იძულებულნი შევიქენით მიგვემართა ადგილობრივის აზნაურებისათვის და გვეთხოვა მათთვის მამასახლისებად დამდგარიყვნენ. თვითონ გლეხებიც სიხარულით დათანხმდენ ამაზედ და დაგვისახელეს კიდეც აზნაურები, რომელნიც შეიძლებოდა მამასახლისებად ამოგვერჩია; ჩვენ ამაზედ აზნაურები საჩუქრების დაპირებით დავითანხმეთ. მოურავების სახელით იგინი სოფლების მამასახლისებად შეიქმნენ და საქმე რიგიანად წავიდა. მათის შემწეობით ჩვენ ვტყობულობდით რომელს სოფელს რა სურდა; მათ შორის ბევრი რიგიანი და გონიერი კაცი აღმოჩნდა, რომელიც მოწადინებული იყო ჩვენი ბძანება შეესრულებინა. ოლქის უფროსებს სამი თანაშემწე ჰყავდათ და შეგვეძლო მათში ერთი ადგილობრივი თავადიშვილთაგანი გვყოლოდა; ამ უფლებით ვისარგებლე და ეს თანამდებობა მივეცი ერთს ბატონიშვილთაგანს, თავადს დიმიტრი გრიგოლისძეს დადიანს, რომელიც მართლა რომ კარგი თანაშემწე გამოადგა. თავის გვარეულობაში დიმიტრი ყველაზედ უკეთესი კაცი იყო. იგი იყო პატიოსანი და მოუსყიდველი კაცი, რისა გამოც ყველას ძალიან უყვარდა. როგორც მცოდნე თავის ქვეყნისა, რადგანაც მთავრის დროს მდივანბეგადაც ყოფილიყო, იგი ჩემთვის ბევრნაირად სასარგებლო იყო; მართალია რუსუ-

ხსენებული ნაოსნობის საზოგადოება ფოთს. 1864 წლიდან ფული ფოთმა მოაგებინა და ნაცვლად მადლობისა და შემწეობისა, კიდეც მტრობენ. სწორედ ასეც უნდა ჰქონან, სიკეთისთვის სიკეთე არავის უქნია.

ჩვენი ფოთის საქმე ასეა: ობოლს ჰკითხეს, ვის მოჰკლამო და ობოლმა უპასუხა, ვინც გამზარდა იმას მოვკლამო.

ფოთელი მგზავრი.

უცხოეთი

ევროპიური პოლიტიკა ამ დროში ისეთ რიგად შეიცვალა, რომ გაზეთის ყოველმა პოლიტიკურმა მიმოხილველმა ორი სახელმწიფო ერთად უნდა მოიხსენოს, რადგან ამ სახელმწიფოთა შორის ან დავაა ამტყდარი, ან ომი და ან მძიმე რამ დიპლომატიური თათბირი აქვთ ერთმანეთ შორის გამართული. მაგალითად, როდესაც ინგლისზე სწერ რასმე—ეს ნაწერი რუსეთსაც შეეხება; საფრანგეთზე სწერდა, იქვე ჩინეთიც უნდა მოიხსენო; იტალიაზე იტყვი რასმეს, და აბესინიაც შიგ უნდა გაურიო; გერმანიას შეეხები, და ავსტრიაც (კოლონიალურს პოლიტიკაზე) უნდა ისაუბრო და სხვა-და-სხვ....

ინგლისი და რუსეთი. ლონდონიდამ სწერენ „ნოვოსტის“: „ამ უკანასკნელს ათს დღეში ავღანის საზღვრებზე მოლაპარაკებას სრულიად არაფერი წარმატება არ ემჩნევა. ლონდონისა და პეტერბურგის შორის მოლაპარაკებას მხოლოდ უბრალო გეოგრაფიული ხასიათი აქვს. ლონდონში სტივენისა და პეტერბურგში ზაკრევსკის ჩასვლამ და ამათგან თავიანთ მმართებლობათადმი წარდგენილმა რუკებმა უფრო გააჭიანურეს საქმე. ორთავ ამ პირების განმარტებათ სისრულე, საბუთიანობა აკლიათ და ბევრი ადგილები რუკებზე ცუდად არიან გამოყვანილნი. ასე რომ დავის საგნად მთელი ხაზი სჩნდება ისევ, რადგან ყველა პუნკტები ამ ხაზის გასწვრივ ბუნდად და გაურკვეველად არიან აღნიშნულნი. ის ცნობა, რომ დაბრკოლებას მხოლოდ ორი პუნკტის გამოურკვეველობა შეადგენსო, არ არის მართალი, როგორც ის ამბავი, რომ რუსეთს მოეწადინოს ქაბულში ყოლა თავის წარმომადგენელისა. შემდეგ, თუ როდესმე ემირთან კარგი განწყობილება ექმნა რუსეთს, მას შეუძლიან ამ წადილის აღსრულება (წარმომადგენელის ყოლა ქაბულში), მაგრამ ეხლა ამ გვარს რუსეთის წადილზე არა იციან-რა გარეშე სამინისტროში. შუამავლობაზე ამ ჟამად აღარავინ ლაპარაკობს.“

— ლორ რანდოლფ ჩერჩილი კვლავ ჰკიცხავს ბრიტანიის მმართებლობას რუსეთთან გაჭიანურებულის მოლაპარაკების გამო და აცხადებს: პენჯდესთან შეტაკება დღეს თავიდამ აცილელი არ იცოდა, მაგრამ ჩემს განკარგულებას თარჯიმნის ბექარიას დახმარებით ყოველთვის სვინიდისიანად ასრულებდა. მისი მოტყუება ყოველად შეუძლებელი იყო და ყოველიფერს ამბავს მატყობინებდა.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო ეუახლოვდებოდით საზოგადოებას, ეტყობულობდით მის ავსა და კარგს, ზნესა და ჩვეულებას და ისე ვმოქმედობდით. საქმე უფრო კარგად წავიდოდა, თუ რომ დედოფალი ეკატერინე წინ არ გადაგვლობებოდა.

იგი ბორდში ცხოვრობდა და გარს ეხვივნენ ჩიქოვანები, რომელნიც ათას ნაირს ჭორს უზიდავდენ მას და აღელვებდენ ჩვენ შესახებ. მათ სხვა-და-სხვა ხრიკები მოიგონეს, რომ რუსის ადმინისტრაციას შესჯახებოდენ და ამით ეკატერინესათვის თავიანთი ერთგულება დაემტკიცებინათ. დედოფლის აზრით ჩვენი მოქმედება აჯანყებულთა შესახებ მთავრობას არცხვენდა, რადგანაც ისე სასტიკად არ ვიქცეოდით, როგორც მისი აზრით საჭირო იყო.

დედოფალი მხოლოდ თავისი პირადი სარგებლობისათვის ზრუნავდა, სხვების სარგებლობა კი ჩალადაც არ მიაჩნდა. ჭკვიანი, განათლებული და მშვიდობიანობის მოყვარე დიუკრუასი რუსეთის მთავრობის განზრახვას ყოველთვის უსხნიდა დედოფალს და ხშირად ისიც ეთანხმებოდა, მაგრამ უეცრად შეიცვლებოდა ხოლმე მისი აზრი და მხოლოდ იმას-ღა გაიძახოდა, რომ იგი არა სთხოვდა რუსეთს სამეგრელოს შინაურს საქმეში გარეულიყო; მისთვის მხოლოდ ყაზახები იყო საჭირო, რომ მათის შემწეობით თავის სამთავროში მშვიდობიანობა დაემყარებინა. ამის ნაცვლად რუსები მის შინაურს საქმეებში გაერევნენ და ურჩევდენ თავის უფლებაზედ უარი იყო. ამ რჩევას იგი ყურს არ უგდებდა და უფლებას ჩამორთმევას ძალადობად სთვლიდა. მას ეუბნებოდენ გასულიყო სამეგრელოდამ; მაგრამ იგი სულ იმას ამბობდა, რომ რად გავიდე საომრად როდესაც ჩემი ეალია ჩემი შვილების სამფლობელო დავიცვაო.

მაინც-და-მაინც დედოფალს რუსეთის მთავრობის მდურვა არა მართებდა. ჩვენ ყველანი მზად ვიყავით მისი სამსახურისათვის და ვცილობდით მისი თავმოყვარეობა დაგვეკმაყოფილებინა. ყოველივე მისი სურვილი სრულდებოდა, შესაფერს პატივს ვაძლევდით, მაგრამ იგი მაინც უკმაყოფილო იყო ჩვენის მოქმედებით. მაგალითად, ერთხელ ზუგდიდის ოლქის უფროსი თავადი ერისთავი მარტვილის მონასტერში შესულიყო, მას თან ხლებოდა ნაცნობი მიქავა. ამ დროს დედოფალიც მისულიყო მონასტერში. ერისთავი შესაფერის პატივისცემით მიჰგებებოდა და ორივეს დაეწყოთ საუბარი. ჩაი მოართვეს. ამ დროს ვილამაც დასჩურჩულა დედოფალს:— ერისთავს მიქავაც თან ახლაესო. მან ითხოვა ეჩვენებინათ მისთვის ეს, როგორც იგი ამბობდა, დანტონი სამეგრელოს რევოლიუციისა. ერისთავმა დაუძახა მიქავას, რომელმაც დედოფალს მდაბლად დაუკრა თავი. დედოფალმა ახლო მიიხმო მიქავა და ტკბილად დაუწყო ლაპარაკი:—„შვილო,“ უთხრა მან ტკბილად,—როგორ მოხდა, რომ შენ, გლეხებისაგან ამორჩეული კაცი პირ-და-პირ ჩემთან არ მოხვედი და მათი საჭიროება არ შემატყობინე? მე თქვენის შეწუხებისა სრულად არა ვიცოდირა, ჩემთან მოსელა კი ყველას შეეძლო. შენ შეგეძლო ყოველს ჟამს მოსულიყავ ჩემთან და სიმართლე შეგეტყობინებინა. რატომ ასე არ მოიქეცი პეტერბურგიდამ ჩემი დაბრუნების შემდეგ?“

ამაზედ მიქავამ არაფერი პასუხი არ მიუგო და შეშინებული თავ-ჩაღუნული იდგა და თავის ქუდს სრესავდა. რამდენსამე წამს ჩუმად იყენენ.

— შენ არ გინდა პასუხი მომიგო, უთხრა კიდევ დედოფალმა:—მაშასადამე გრძნობ, რომ ცუდი საქმე ჩაიდინე, ჩემთან რომ არ მოხვედი.

მიქავამ თავი მაღლა აიღო და დაიწყო ლაპარაკი ჩუმის ხმით;

— თქვენო ბრწყინვალებავ, მეშინიან არ გაჯავრდეთ და იმისთვის ჩუმადა ვარ.

— სთქვი, გეთაყვა, სთქვი,—უთხრა დედოფალმა.—მართლის თქმისათვის მე თავის დღეში არ გავჯავრდები.

მიქავამ შეხედა ერისთავს, თითქოს ეკითხებოდა—ნებას მაძლევ ვილაპარაკო თუ არაო, და როდესაც მან თავი დაუქნია, დაიწყო:

— მაპატიეთ, რომ ვერ გიახელით... და ვერ გიახელით იმისთვის, რომ თქვენ ვერაფერს გეშველიდით, თუ გინდ რომ ძალიანაც გდომოდათ...

იგი მცირე ხანს დაჩუმდა, თითქოს არაფრის თქმა არ უნდოდა, მაგრამ კვალად აიღო მაღლა თავი, თვალები რაღაც ნაირად გაუბრწინდენ და დაიწყო:

— აი, ამ მთაზედ ცხოვრობს თქვენი საკუთარი გლეხი. მას ერთად ერთი ძროხა ჰყავდა, რომლის რძითაც თავის შვილებს ზრდიდა, მაგრამ ეს ძროხაც შენმა კაცებმა წაართვეს და დაკლეს. თქვენ თითონაც არ იცით, რომ სადაც თქვენ მიხვალთ, უბედურება თან მიგაქვთ თქვენის კარის კაცების მეოხებით. რაღად მოესულიყავ და მეაბნა შეწუხება იმისთანა გლეხკაცებისა, როგორიც ეს არის: თქვენ ხომ ვერ შეგიძლიანთ უშველოთ...

მიქავა დაჩუმდა და თავი ჩაღუნა. დედოფალს სიბრაზე დაეტყო სახეზედ. მაგრამ თავი შეიმაგრა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ გაიღიმა და უთხრა მიქავას:

— ძარგი, შვილო, ღმერთმა გაგცეს პასუხი.

(შემდეგი იქნება).

ბული იქმნებოდაო, მხოლოდ წინადვე უნდა გვეცნობებინა რუსეთისათვის,... ბლადსტონმა ამაზედ უპასუხა ჩერჩელს, რომ პალატას მაშინ შეუძლიან მხოლოდ განსაჯოს მმართებლობის მოქმედება, როცა ხელში ექმნება სრული დიპლომატიური მიწერ-მოწერა ავღანის საქმეთა შესახებ.

— ამ ჟამად იმდენს ლაპარაკობენ მერუჩაკსა და ზულფიკარზე რამდენსაც ჰერათსა და პენჯდეზედ ლაპარაკობდენ. ლონდონში მოლაპარაკების დროს რუსის მმართებლობა აცხადებს, რომ მერუჩაკი პენჯდეს მიდამოში მდებარებსო და უნდა შემოვიერთოო, ზულფიკარის გასავლების დაჭერის ნებას-კი ავღანელებს ვერ მივსცემო.

საფრანგეთი და ჩინეთი. სანამ ჩვენი უმთავრესი ყურადღება რუს-ინგლისის შორის ამტყდარს დავაზე იყო მიპყრობილი—საფრანგეთი და ჩინეთი ერთხელ კიდეც მორიგდენ და ეხლა, იქნება, ისევ ხელ-მეორედ შეეტაკნენ ერთმანეთს, რადგან მორიგებისთვის მოლაპარაკებას კეთილი ბოლო ვერ მოჰყვაო. ბეგონებათ—საფრანგეთი და ჩინეთი იმიტომ ჩაჩუმდენ, რომ რაღაც „სხვა ამბავს“ მოელოდენო. მართლაც იმ დროს ბეწვზედ ეკიდა ომი ინგლისისა და რუსეთის შორის. და დღეს, როცა საქმე მკირეოდნად დალაგდა თითქოს,—საფრანგეთი და ჩინეთი კვლავ მიუბრუნდენ ომის საქმეს. ტიან-ძინიდამ სწერენ ერთს ინგლისურს ჟურნალს: „საფრანგეთის მმართებლობამ ბევრის მხრივ დათმობამ მეტად ააგულიანა „ომის დასი“ ჩინეთში და მინისტრნი, რომელთაც ძლიერ ეშინიანთ, რომ კვლავ არ გაიღვიძოს ხალხის ზიზღმა საფრანგეთისადმი და ხელახლად ამტყდარს შეტაკებისათვის მათ (მინისტრთ) არ დაედვას ბრალი,—დროებით დაეთხოვენ სამსახურს და გავიდენ პეკინიდამ. ხელ-ახალი შეტაკების თავიდამ აცდენა იმ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ, თუ საფრანგეთი ენერგიულს წინააღმდეგობას გაუწევს ჩინეთის თავ-გასულს მოთხოვნილებას. ამავე საგანზე შანჰაიდამაც იწერებიან, რომ საფრანგეთსა და ჩინეთის შორის მორიგებაზე მოლაპარაკება შეჩერდა, რადგან საფრანგეთმა ერთობ მძიმე პირობები მოსთხოვა ჩინეთსაო.

ინგლისი და სუდანი. სუდანში არეულობა თან-და-თან მძაფრდება. ორი მაჰდი, ორივ ცრუ-წინასწარმეტყველნი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ. მაგრამ პირველის მაჰდის მდგომარეობა უარესად მიდის. მის ჯარს გარევია ყვავილი და ვანც მეორე მაჰდის ჯარისაგან აღწევს თავს, იმათ გაოფთრებული ყვავილი აკლებს მუსრსაო. ასეთ დროს ინგლისის ჯარის ყოფნა საჭირო არაა სუდანში და ამიტომ ინგლისურ ჯარებს ბევრი ადგილიდან ბრძანებენ ეგვიპტეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომაც გამოჰყავს ბრიტანიის მმართებლობას თვისი ჯარები ამ ქვეყნიდამ.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 16-ს.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი $2^{1}/_{2}$%-დან 2% მდე.

ბელგრადი. ხმა არის, ვითომც ალბანიელი სარდლები ჰგზავნიან ხონთქართან დეპუტაციას, რომელმაც უნდა სთხოვოს ხონთქარს, რომ მაიდოს ზომები ავსტრიელთ განსადევნელად ბოსნიიდამ და ჰერცოგოვინიდგან. სარდლებს გადაუწყვეტიათ აგრეთვე, რომ თუ, ვინიცობაა, ავსტრიელნი სალონიკისაკენ წამოვიდნენ დავხვდეთ მათ და იარაღით წინააღმდეგობას გაუწიოთო.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 10.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—$24^{1}/_{16}$, $24^{7}/_{32}$ $24^{3}/_{32}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	— $205^{1}/_{4}$, $206^{1}/_{4}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე —	— $254^{1}/_{2}$, $255^{1}/_{2}$
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 18 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები	— 8 მ. 15 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 30 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი—	— 6 და 7%
5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — —	— 98 მ. 62 კ. გაყ.
მეორე გამოცემისა	— 97 მ. 62 კ. გაყ.
მესამე გამოცემისა	— $97^{1}/_{4}$ მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	— 220 მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	$207^{3}/_{4}$ მ. გაყ.
ოქროს რენტა —	— $168^{3}/_{4}$ მ. გაყ.
თბილისის სათადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— —	—27 წ. 89 მ. გამყ. 43 წ. $87^{3}/_{4}$ მ. გამყ.
ქუთაისის სათადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 90 მ. გამყ.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბოვსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის: კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდამ 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—1	გ.	$2^{1}/_{2}$
მეორისა — —	—1	გ.	2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის	—1	გ.	$4^{1}/_{2}$
მეორისა — —	—1	გ.	3 კ.
მესამისა — —	—1	გ.	$2^{1}/_{2}$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში	1	გ.	$4^{1}/_{2}$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^{1}/_{2}$
მესამისა — —	—1	გ.	3 კ

მროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა	—1	გ.	8 კ.
მეორისა — —	—1	გ.	7 კ.
სუკი— — —	—1	გ.	15 კ
ცხვრის ხორცი—	—1	გ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	1	გ.	
მეორისა —	—1 —	გ.	

განცხადებანი

მოსკოვში, პეტერბურგში და სამზღვარს გარედ წასვლის გამო მ. **ცეიტლინის** მაღაზიაში, რომელიც სასახლის პირ-და პირ იმყოფება, დანიშნულია მაისის 12-დამ ივნისის 1-დე გაყიდვა

დაკლებულის ფასებით

მრავალის ოქროს და ვერცხლის საათებისა, რომელნიც პირად მე გავაკეთებინე **შენევის** საუკეთესო ფაბრიკების, ფრანცუზულის და ნემეცურის კედლის და სტოლის საათებისა, ამერიკული გამღვიძებლებისა, შვეიცარიულის საკრავის კოლოფებისა, მშვენიერის ხელოვნების ოქროს, ვერცხლის და ბრილიანტის ნივთებისა, აგრეთვე ოქროს, პლატინის, და ვერცხლის ოქროთი და ვერცხლით დაფერილი და მეტალის ძეწკვებისა.

ნივთების კარგს ღირსებასა და სიიაფეზედ საზოგადოება თვით დარწმუნდება (საათები გაიყიდება იმ პირობით, რომ ხუთი წლის განმავლობაში სწორედ ივლიან). (5—5)

არყის ხის ბალზამი

დოქტორის ლენგილისა

საყვარელი სატუალეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

აძლევს კანს სპეტაკს სითეთრეს, სპობს ჭორფლს, ფერიჭამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუჯულს სახეს, ასწორებს მოღმეჭილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კაპსიულებზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! ფლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა საავთიაქო მაღაზიებში: მოსკოვში რ. კელერთან და კომპ. ა. ფერსინთან, გეშლინგთან, ბ. ბრუკსთან, ლიუშერთან, ბირშველგინთან, მატესეისენთან, ს.-პეტერბურგში საავთიაქო საქონლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, თბილისში საავთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

Ц. 12.233 (12—4)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

ჩვენი ჩაი	1 მან. — კაპ.	ჩაის	სხვაგან	1	მან	20	ღირებულს.
,,	,,	1 — 20 —	,,	,,	1	— 50	—
,,	,,	1 — 40 —	,,	,,	1	— 80	—
,,	იშვიათი	1 — 60 —	,,	,,	2	— 20	—
,,	ჩინეთის ყვავილი	1 — 80 —	,,	,,	2	— 50	—
,,	ფუჩეფუ	2 — ,, —	,,	,,	2	— 80	—
;,	ფენომენი	2 — 40 —	,,	,,	3	— ,,	—

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, ყუნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; უველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—17)

!!აბანო გოგილო!!

რადგანაც ცხად იქმნა,—**წყალი გოგილოსი** არის მამრთელებელ ბევრთა სხვა-და-სხვა სატკივრებისა და მრავალნიც გვიმოწმებენ—რომელთაცა მიიღეს განკურნება, ამისათვის ვალად ვითვლით, რათა განვუცხადოთ პატიოსანს საზოგადოებას და მოვაგონებთ მესაჭიროეთა აქვნდეთ მხედველობასა შინა. ესრედ ცხადი **მარგებელია** ყოველს პირობებზე შეიძლება მიმართოთ იქვე გოგილოს მეიჯარადრეს. (3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Мая 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.